საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრი
MINISTER OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

KA030135834314815

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 251 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/28759 **24 / აპრილი / 2015 წ.**

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში
ბატონ რიჩარდ ნორლანდს
მის. ქ. თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის ქ. №11

ბატონო რიჩარდ,

უპირველესად ვსარგებლობ შემთხვევით და გიდასტურებთ ჩემს ღრმა პატივისცემას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელით მადლიერებით აღვნიშნავ ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებულ ძალისხმევას.

ამ კუთხით გაწეულ ტექნიკურ მხარდაჭერასთან ერთად, რომლის შედეგია ,,შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის 2014-16 წწ. სამოქმედო გეგმის" შემუშავება და სხვა კონკრეტული პროექტები, ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო 2013-2014 წლებში აშშ საელჩოს მიერ საქართველოში მცხოვრები შშმ პირებისათვის სავარძელ-ეტლებით დახმარების პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებში როგორც მექანიკური, ასევე ელექტრო სავარძელ-ეტლები გადაეცა 200-მდე ბენეფიციარს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მოხარული იქნება თუ აშშ-ის საელჩო მიმდინარე წელსაც განიხილავს ასეთი პროექტის განხორციელების შესაძლებლობას, რაც საშუალებას მოგვცემს სრულად დავაკმაყოფილოთ სავარძელ-ეტლებზე არსებული მოთხოვნა.

კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ჩვენს პატივისცემას და გამოვთქვამ იმედს, რომ ასეთი მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებას.

RECEIVED
APR 27 2015
EXEC OFFICE

პატივიეცემით,

მინისტრი

დავით სერგეენკო